შემაკავებელი და დამცავი ორდერები, როგორც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტი

თეა ნადირაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თეა ნადირაშვილი

16.06.2023

აბსტრაქტი

საქართველოში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა წარმოადგენს იმ ერთ-ერთ უმძიმეს პრობლემას, რომელიც ათწლეულების განმავლობაში არათუ კარგავს აქტუალობას, არამედ უფრო მეტად იმკვიდრებს ადგილს პრობლემების ცენტრში. შესაბამისად, მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა გზებით მასთან ბრძოლის პროცესის ეფექტურობის გაზრდა. წლების წინ სახელმწიფო მიხვდა, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ვერ იქნებოდა ეფექტიანი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული გამოცდილებით. ამიტომ, საჭირო გახდა დამატებითი დაცვის მექანიზმების შემოღება. სწორედ ამ მიზნით შემოიღო კანონმდებელმა შემაკავებელი და დამცავი ორდერებიც, როგორც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ინსტრუმენტი.

ნაშრომი სწორედ შემაკავებელი და დამცავი ორდერების დეტალურ შესწავლას ისახავდა მიზნად, რათა გამოკვეთილიყო ხომ არ არსებობს საკანონმდებლო ხარვეზები თუ პრაქტიკული გამოწვევები, რომლებიც შესაძლოა ხელს უშლიდეს მათ ეფექტურად მუშაობას ძალადობასთან ბრძოლის პროცესში. გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები საკანონმდებლო დონეზე, მათ შორის საქართველოს კანონის ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-10 მუხლის 1[1] -ში ჩანაწერში. ასევე, პრობლემატური საკითხი აღმოჩნდა თუ რამდენჯერ უნდა მოხდეს შემაკავებელი ორდერის გამოცემა სავალდებულო გამოცემის შემთხვევისას, როდესაც გამოძიება მიმდინარეობს და მოძალადის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა, თუმცა ახალ ძალადობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია და გამოძიება კი წლები გრძელდება. გამოვლინდა ასევე დამცავი და შემაკავებელი ორდერების დარღვევის შესაძლო რისკების არსებობა მოძალადესა და მსხვერპლს შორის შერიგებისას. ასევე გამოიკვეთა შემაკავებელი და დამცავი ორდერების შესაძლო დარღვევების ვერ გამოვლენის ხელშემწყობი ფაქტორები მონიტორინგის პროცესისას.

ნაშრომის ფარგლებში გამოიკვეთა ასევე ის საკანონმდებლო და პრაქტიკული ნაბიჯებიც, რომლებიც წარმოადგენენ ხელშემწყობ ფაქტორებს ორდერების ეფექტურობისთვის ძალადობასთან ბრძოლის პროცესში. როგორიცაა მაგალითად: რისკების შეფასების ინსტრუმენტის და მისი მეთოდოლოგიის დანერგვა და გამოყენება შემაკავებელი ორდერის გამოცემის პროცესში, ელექტრონული ზედამხედველობის შემოღება შემაკავებელი ორდერის აღსრულების მექანიზმად, მონიტორინგის პროცედურის განსაზღვრა დამცავი და შემაკავებელი ორდერებისთვის და ა.შ.

კვლევისას გამოიკვეთა ასევე რა სპეციფიკით შეიძლება გამოირჩეოდეს არასრულწლოვნის უგულებელყოფის ფაქტებზე გამოცემული ორდერები და რა თავისებურებით ხასიათდება თავად ძალადობის ეს ფორმა.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნა აღწერითი/მიმოხილვითი და შეფასების მეთოდები. სწორედ ამ მეთოდების გამოყენებით გახდა შესაძლებელი, რომ კვლევისას გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები, როგორც საკანონმდებლო ასევე პრაქტიკულ დონეზე. თუმცა, გამოვლინდა სხვადასხვა პროგრესული ნაბიჯებიც, რომლებმაც მეტად ეფექტური გახადა ორდერების გამოცემისა და აღსრულების პროცესი. ასევე დადასტურდა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც, ელექტრონული ზედამხედველობის, როგორც შემაკავებელი ორდერის აღსრულების მექანიზმის გამოყენება ხელს უწყობს შემაკავებელი ორდერის, როგორც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ინსტრუმენტის ეფექტურობის ზრდას ძალადობასთან ბრძოლის პროცესში.

სწორედ იმის გამო, რომ დეტალურადაა შესწავლილი და წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები თუ პრაქტიკული პრობლემები და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის შესაძლო გზები, ასევე დეტალურადაა განხილული ხელისშემწყობი და ხელისშემშლები ფაქტორები ორდერების ეფექტურობისთვის, ეს ყოველივე კვლევას ხდის ღირებულს. მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია შემაკავებელი და დამცავი ორდერების, როგორც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის

ინსტრუმენტის შესახებ და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეაფასოს მათ შორის შემოთავაზებული პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზებიც რამდენადაა ეფექტური.

საძიებო/საკვანძო სიტყვები: შემაკავებელი ორდერი, დამცავი ორდერი, ელექტრონული ზედამხედველობა, არასრულწლოვნის უგულებელყოფა, მონიტორინგი, მსხვერპლისა და მოძალადის შერიგება, მოძალადის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.